

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის
ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმთან“
საქართველოს შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველო შეუერთდეს მონრეალის 2000 წლის 29 იანვრის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმს“.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე

თბილისი,
2008 წლის 26 სექტემბერი.
N 305-II ს

საქართველო შეუერთა საქართველოს პარლამენტის
2008 წლის 26 სექტემბრის N 305-II ს დადგენილებით

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმი

წინამდებარე ოქმის მხარეები,

- არიან რა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მხარეები,
- ითვალისწინებენ კონვენციის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს, აგრეთვე, მე-8 გ) და მე-17 მუხლებს,
- ითვალისწინებენ, აგრეთვე, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მხარეთა 1995 წლის 17 ნოემბრის კონვენციის 11/5 გადაწყვეტილებას ბიოუსაფრთხოების ოქმის შემუშავების შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილებულია ნებისმიერი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე, რომელიც მიღებულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენების შედეგად და შეუძლია არახელსაყრელი ზეგავლენა მოახდინოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე და, მომზადდა, კერძოდ, განსახილველად, წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების შესაბამისი პროცედურები,
- კვლავ ადასტურებენ უსაფრთხოების ზომების მიღების პრინციპს, რომელიც ასახულია გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მე-15 პრინციპით,
- აცნობიერებენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიის სწრაფ გავრცელებას, აგრეთვე, საზოგადოების მხარდ შეშფოთებას ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე მისი პოტენციური მავნე ზემოქმედების გამო, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით,
- აღიარებენ, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგია ქმნის ადამიანთა კეთილდღეობის ზრდის დიდ შესაძლებლობას, თუ იგი განვითარდება და გამოყენებულ იქნება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით,
- აცნობიერებენ, აგრეთვე, წარმოშობისა და გენეტიკური მრავალფეროვნების ცენტრების განსაკუთრებულ მნიშვნელობას კაცობრიობისათვის,
- მხედველობაში იღებენ მრავალი ქვეყნის, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების შეზღუდულ შესაძლებლობებს, რომ რეაგირება მოახდინონ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული ცნობილი და პოტენციური საფრთხისა და მასშტაბებზე,
- აღიარებენ, რომ მდგრადი განვითარების მიღწევის მიზნით სავაჭრო და გარემოსდაცვითი შეთანხმებები უნდა ავსებდნენ ერთმანეთს,

- ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წინამდებარე ოქმი არ გულისხმობს ნებისმიერი არსებული საერთაშორისო შეთანხმების მიმართ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შეცვლას,
- აცნობიერებენ, რომ ზემოთ აღნიშნული მიზნად არ ისახავს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისადმი წინამდებარე ოქმის დაქვემდებარებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მიზანი

გარეომსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მე-15 პრინციპით გათვალისწინებული „უსაფრთხოების წინსწარი ზომების მიღების“ პრინციპის შესაბამისად, ითვალისწინებს რა ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას და ყურადღებას ამახვილებს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე, წინამდებარე ოქმის მიზანია ხელი შეუწყოს სათანადო დონის დაცვას იმ ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმების უსაფრთხო გადაცემის, მოპყრობა და გამოყენების სფეროში, რომლებიც მიღებულია თანამადროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით და შეუძლია მავნე ზეგავლენა მოახდინოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე.

მუხლი 2

ზოგადი დებულებები

1. ყოველი მხარე იღებს აუცილებელ და შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს ამ ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.
2. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ნებისმიერი ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმის მიღება, მოპყრობა, ტრანსპორტირება, გამოყენება, გადაცემა და გამოთავისუფლება ხორციელდებოდეს ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ან ადამიანის ჯანმრთელობას ან ეს საფრთხე იქნეს შემცირებული.
3. წინამდებარე ოქმი არ არღვევს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიულ წყლებთან მიმართებაში, მათ სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად განსაზღვრულ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისა და კონტინენტური შელფის საზღვრებში, აგრეთვე, სახელმწიფოთა საზღვაო და საჰაერო ხომალდების მიერ ნავიგაციის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით და ასახულია შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტში.
4. წინამდებარე დოკუმენტი არ ზღუდავს მხარეთა უფლებას, მიიღოს დაცვის უფრო მკაცრი ზომები, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი

გამოყენებისათვის, ვიდრე ამას ითვალისწინებს ეს ოქმი, იმ პირობით, რომ ეს ზომები შეესაბამება ამ ოქმის მიზნებსა და დებულებებს და განპირობებულია ამ მხარის სხვა მოვალეობებით საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

5. მხარეებს მოუწოდებენ, რათა, შესაბამის შემთხვევაში, გაითვალისწინონ არსებული ექსპერტული ცოდნა, იმ საერთაშორისო ფორუმების მუშაობის შედეგები და შეთანხმებები, რომლებიც კომპეტენტურნი არიან ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების სფეროში.

მუხლი 3

ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე ოქმისათვის:

ა) „მხარეთა კონვენცია“ ნიშნავს კონვენციის მხარეთა კონფერენციას.

ბ) „გამოყენება ჩაკეტილ სისტემებში“ ნიშნავს დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ფიზიკური სტრუქტურის საზღვრებში განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციას ცოცხალ შეცვლილ ორგანიზმებზე, რომლებიც რეგულირდება სპეციალური ღონისძიებებით, რათა ისინი ეფექტურად გაიმიჯნონ გარემოდან და შეიზღუდოს მათი ზემოქმედება გარემოზე.

გ) „ექსპერტი“ ნიშნავს განსაზღვრულ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას ერთი მხრიდან მეორე მხარეში.

დ) „ექსპორტიორი“ ნიშნავს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც ექვემდებარება ექსპორტიორი მხარის იურისდიქციას და ახორციელებს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ექსპორტს.

ე) „იმპორტი“ ნიშნავს განსაზღვრულ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას ერთ მხარეში მეორიდან.

ვ) „იმპორტიორი“ ნიშნავს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც ექვემდებარება იმპორტის მხარის იურისდიქციას და ახორციელებს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტს.

ზ) „ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი“ ნიშნავს ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც აქვს გენეტიკური მასალის ახალი, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული კომბინაცია.

თ) „ცოცხალი ორგანიზმი“ ნიშნავს ნებისმიერ ბიოლოგიურ წარმონაქმნს, რომელსაც აქვს გენეტიკური მასალის გადაცემის ან რეპლიკაციის უნარი, მათ შორის სტერილურ ორგანიზმებს, ვირუსებსა და ვიუიდებს.

ი) „თანამედროვე ბიოტექნოლოგია“ ნიშნავს რომ გამოყენებულია:

ა. ნუკლეინის მჟავების *in vitro* მეთოდები, მათ შორის რეკომბინანტული დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ), და ნუკლეინის მჟავების პირდაპირი ინექცია უჯრედებში ან ორგანოებში, ან

ბ. სხვადასხვა ტექნიკური სტატუსის მქონე ორგანიზმების უჯრედების შერწყმის მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა გადაილახოს ბუნებრივი

ფიზიოლოგიური რეპროდუქციული ან რეკომბინაციული ბარიერები და რომლებიც არ წარმოადგენს ტრადიციულ სელექციურ და ჯიშთა გამოყენების მეთოდებს.

კ) „რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაცია“ ნიშნავს განსაზღვრული რეგიონის სუვერენული სახელმწიფოების მიერ შექმნილ ორგანიზაციას, რომელსაც წევრმა სახელმწიფოებმა გადასცეს უფლებამოსილება წინამდებარე ოქმით რეგულირებულ საკითხებში და, რომელიც მისი შიდა პროცედურების შესაბამისად უფლებამოსილია ხელი მოაწეროს, მოახდინოს რატიფიცირება, მიიღოს, მოიწონოს ოქმი და შეუერთდეს მას.

ი) „ტრანსსასაზღვრო გადაადგილება“ ნიშნავს ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმების გადაადგილებას ერთი მხარიდან მეორეში, იმის გათვალისწინებით, რომ მე-17 და 24-ე მუხლებისათვის ტრანსსასაზღვრო გადაადგილება ნიშნავს გადაადგილებას მხარეთა და იმ სახელმწიფოთა შორისაც, რომლებიც არ არიან მხარეები.

მუხლი 4 **მოქმედების სფერო**

ეს ოქმი გამოიყენება ყველა იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების, ტრანზიტის, მოპყრობის და გამოყენების მიმართ, რომელთაც შეუძლიათ არახელსაყრელი ზეგავლენა მოახდინონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე, ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

მუხლი 5 **ფარმაცევტული პრეპარატები**

მე-4 მუხლისაგან დამოუკიდებლად და მხარის ნებისმიერი უფლების შეუღახავად, ყველა ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი შეამოწმოს საფრთხის თვალსაზრისით იმპორტზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ეს ოქმი არ გამოიყენება იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ფარმაცევტულ პრეპარატებს და რეგულირდებიან სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ორგანიზაციებით.

მუხლი 6 **ტრანზიტი და გამოყენება ჩაკეტილ სისტემებში**

1. მე-4 მუხლისაგან დამოუკიდებლად და ტრანზიტის მხარის ნებისმიერი უფლების შეუღახავად, არეგულიროს ცოცხალი ორგანიზმების ტრანსპორტირება თავის ტერიტორიაზე და ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარუდგინოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მის ტერიტორიაზე კონკრეტული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანზიტის შესახებ, ამ

ოქმის დებულება წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების პროცედურების შესახებ არ გამოიყენება ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანზიტის შემთხვევაში.

2. მე-4 მუხლისაგან დამოუკიდებლად და ნებისმიერი მხარის უფლების შეუღახავად, ნებისმიერი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი შეამოწმოს საფრთხის თვალსაზრისით იმპორტზე გადაწყვეტილების მიღებამდე და თავისი იურისდიქციის ფარგლებში დააწესოს ჩაკეტილ სისტემებში სარგებლობის ნორმები, ამ ოქმის დებულებები წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების პროცედურების შესახებ არ შეეხება ჩაკეტილ სისტემებში გამოსაყენებლად ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას, რაც ხორციელდება იმპორტის მხარის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 7

წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურების გამოყენება

1. მე-8–10 და მე-12 მუხლებში ასახული წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების პროცედურა მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, გამოიყენება იმპორტის მხარის გარემოში განზრახული ინტროდუქციისათვის განკუთვნილი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების პირველ განზრახულ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებამდე.

2. 1.პუნქტში ხსენებული „გარემოში განზრახული ინტროდუქცია“ არ ეხება ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს, რომლებიც განკუთვნილნი არიან უშუალოდ სურსათად ან საკვებად მოხმარებისათვის ან გადასამუშავებლად.

3. მე-11 მუხლი გამოიყენება უშუალოდ სურსათად ან საკვებად მოხმარებისათვის ან გადასამუშავებლად განკუთვნილი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების პირველ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებამდე.

4. წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურა არ გამოიყენება იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების განზრახული ტრანსსასაზღვრო გადაადგილების მიმართ, რომლებსაც მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომელიც ამ ოქმის მონაწილე მხარეების სხდომის ფუნქციას ასრულებს, საეჭვოა, რომ შეძლოთ მავნე ზეგავლენა მოახდინონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე, ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

მუხლი 8

შეტყობინება

1. ექსპორტის მხარე აცნობებს ან მოითხოვს, რომ ექსპორტიორმა წერილობით აცნობოს იმპორტის მხარის სახელმწიფო კომპეტენტურ ორგანოს იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებამდე, რომელიც ექვემდებარება მე-7 მუხლის 1 პუნქტს. შეტყობინება მინიმუმ მოიცავს 1 დანართში მითითებულ ინფორმაციას.

2. ექსპორტის მხარე უზრუნველყოფს იურიდიულ პასუხისმგებლობას არსებობას ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტისათვის.

მუხლი 9

შეტყობინების მიღების დადასტურება

1. იმპორტის მხარე წერილობით უდასტურებს შემტყობინებელს მიღებას, მისი მიღების თარიღიდან 90 დღის განმავლობაში.
2. დადასტურებაში მითითებულია:
 - ა) შეტყობინების მიღების თარიღი,
 - ბ) შეიცავს თუ არა შეტყობინება, prima facie, მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულ ინფორმაციას,
 - გ) შემდგომი ღონისძიებები განხორციელდება მხარის ეროვნული მარეგულირებელი ბაზისა თუ მე-10 მუხლით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.
3. მე-2 პუნქტში ხსენებული ეროვნული მარეგულირებელი ბაზა შეესაბამება ამ ოქმის დებულებებს.
4. თუ იმპორტის მხარე არ დაადასტურებს შეტყობინების მიღებას, ეს არ გულისხმობს მის თანხმობას განსაზღვრულ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე.

მუხლი 10

გადაწყვეტილების მიღების პროცედურა

1. იმპორტის მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მე-15 მუხლის დებულებებს.
2. მე-9 მუხლში მითითებული ვადის განმავლობაში იმპორტის მხარე წერილობით აცნობებს შემტყობინებელს, რომ წინასწარგანზრახული ტრანსსასაზღვრო გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს:
 - ა) ან მხოლოდ იმპორტის მხარის მიერ წერილობითი თანხმობის შემდეგ, ან
 - ბ) არანაკლებ 90 დღის შემდეგ წერილობითი თანხმობის გარეშე.
3. იმპორტის მხარე შეტყობინების მიღების თარიღიდან 270 დღის განმავლობაში წერილობით აცნობებს შემტყობინებელს და ბიოუსაფრთხოების ანგარისწორების პალატა მე-2 პუნქტში ხსენებული გადაწყვეტილების შესახებ, რომ
 - ა) იმპორტი ნებადართულია განსაზღვრული პირობებით, ან მათ გარეშე, და აცნობებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ გამოყენებული ეს გადაწყვეტილება ამავე ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის შემდგომი იმპორტისათვის.
 - ბ) იმპორტი აკრძალულია,
 - გ) მოითხოვს შესაბამის დამატებით ინფორმაციას მისი ეროვნული მარეგულირებელი ბაზის ან 1 დანართის თანახმად, იმ ვადების განსაზღვრისას, რომელთა განმავლობაშიც იმპორტის მხარე აგზავნის პასუხს, არ შედის იმ დღეთა რაოდენობა, რომელთა განმავლობაში იმპორტის მხარე ელოდება შესაბამის დამატებით ინფორმაციას, ან

დ) ამ პუნქტში მითითებული ვადები გაგრძელებულია განსაზღვრული დროით.

4. მე-3 პუნქტის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული, უპირობო თანხმობის შემთხვევების გარდა.

5. თუ იმპორტის მხარე არ აცნობებს გადაწყვეტილებას შეტყობინების მიღების თარიღიდან 270 დღის განმავლობაში, ეს არ ნიშნავს მის თანხმობას განსაზღვრულ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე.

6. თუ, შესაბამისი მეცნიერული ინფორმაციული მონაცემებისა და ცოდნის ნაკლებობის გამო, მეცნიერულად არ არის დასაბუთებული იმპორტის მხარეში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის შესაძლო მავნე ზეგავლენის მასშტაბები, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს იმპორტის მხარეს. შესაძლო მავნე ზეგავლენის აღკვეთის ან მაქსიმალური შეზღუდვის მიზნით, ასეთი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორც ეს განსაზღვრულია მე-3 პუნქტით.

7. მხარეთა კონფერენცია, როგორც მხარეთა სხდომა, პირველ თათბირზე განსაზღვრავს იმპორტის მხარის მიერ გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობ პროცედურებსა და მექანიზმებს.

მუხლი 11

პროცედურა უშუალოდ სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების მიმართ.

1. მხარე, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით გამოყენების, მათ შორის ბაზაზე რეალიზაციის შესახებ, ისეთი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმისა, რომელიც შესაძლებელია ტრანსსასაზღვრო გადაადგილების საგანი გახდეს უშუალოდ სურსათად ან საკვებად გამოყენებისათვის ან დამუშავების მიზნით, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში აცნობებს ამის შესახებ მხარეებს ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატის სამუშაოებით. ეს ინფორმაცია, მინიმუმ, მოიცავს II დანართში მითითებულ ინფორმაციას. ინფორმაციის ასლს, წერილობითი ფორმით, მხარე ასევე უგზავნის ამ მხარის სახელმწიფო საკოორდინაციო ცენტრს, რომელმაც წინასწარ აცნობა სამდივნოს, რომ მას ხელი არ მიუწვდება ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატასთან. ეს დებულება არ ეხება საველე ცდებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

2. მხარე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას 1 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს იურიდიულ პასუხისმგებლობას განცხადების შემტანი სუბიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტისათვის.

3. ნებისმიერმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია II დანართის ბ პუნქტში მითითებული ორგანოსაგან.

4. მხარემ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება უშუალოდ სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი მოდიფიცირებული

ორგანიზმის იმპორტის შესახებ ეროვნული მარეგულირებელი ბაზის ფარგლებში, რომელიც შეესაბამება ამ ოქმის მიზნებს.

5. ყოველი მხარე ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატას წარუდგენს ნებისმიერ ეროვნული კანონების, ნორმატიული აქტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ასლებს, მათი არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ეხება უშუალოდ სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტს.

6. თუ არ არსებობს მე-4 პუნქტში ხსენებული ეროვნული მარეგულირებელი ბაზა, შიდა იურისდიქციის განხორციელებისას, მხარეს, რომელიც არის განვითარებადი ან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, შეუძლია ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატის საშუალებით განაცხადოს, რომ გადაწყვეტილებას უშუალოდ სურსათად ან საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის პირველ იმპორტამდე, რომელთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 1 პუნქტის თანახმად, მიიღებს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

ა) მოხდება საფრთხის შეფასება III შესაბამისად; და

ბ) გადაწყვეტილებას მიიღებს წინასწარ განსაზღვრულ ვალაში, რომელიც არ აღემატება 270 დღეს.

7. თუ მხარე მე-6 პუნქტის შესაბამისად არ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, ეს არ ნიშნავს მის თანხმობას ან უარს უშუალოდ სურსათად ან საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტზე, თუ მხარე არ მიუთითებს სხვას.

8. თუ, შესაბამისი მეცნიერული ინფორმაციული მონაცემებისა და ცოდნის უკმარისობის გამო, მეცნიერულად არ არის დასაბუთებული იმპორტის მხარეში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის შესაძლო მავნე ზეგავლენის მასშტაბები, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს იმპორტის მხარეს, ასეთი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ სურსათად ან საკვებად ან გადასამუშავებლად, იმპორტის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, შესაძლო მავნე ზეგავლენის აღკვეთის ან მაქსიმალური შეზღუდვის მიზნით.

9. მხარემ შეიძლება მიუთითოს ფინანსური და ტექნიკური დახმარების და პოტენციალის ზრდის საჭიროება უშუალოდ სურსათად ან საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებელი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმებთან მიმართებაში. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მხარეები თანამშრომლობენ 22-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 12

გადაწყვეტილების გადასინჯვა

1. იმპორტის მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვლისწინებით, პოტენციური მავნე ზეგავლენის შესახებ ახალ მეცნიერულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადასინჯოს და შეცვალოს გადაწყვეტილება განზრახული ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ეს მხარე 30 დღის განმავლობაში აცნობებს და უსაბუთებს გადაწყვეტილებას ბიოუსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის სამუდამო მექანიზმს და ნებისმიერ შემტყობინებელს, რომელმაც ადრე აცნობა იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის გადაადგილების თაობაზე, რომლის შესახებაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება.

2. ექსპორტის მხარეს ან შემტყობინებელს შეუძლია მიმართოს თხოვნით იმპორტის მხარეს გადასინჯოს გადაწყვეტილება, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს მე-10 მუხლის შესაბამისად, თუ ექსპორტის მხარე ან შემტყობინებელი მიიჩნევს, რომ:

ა) შეიცვალა გარემოება, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საფრთხის შეფასების შედეგებზე, რომელთა საფუძველზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება; ან

ბ) აღმოჩნდა ახალი შესაბამისი მეცნიერული ან ტექნიკური ინფორმაცია.

3. იმპორტის მხარე ამ თხოვნას წერილობით პასუხობს 90 დღის განმავლობაში და ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას.

4. იმპორტის მხარემ, შეხედულებისამებრ, შეიძლება მოითხოვოს საფრთხის შეფასება შემდგომი იმპორტისათვის.

მუხლი 13

გამარტივებული პროცედურა

1. წინამდებარე ოქმის მიზნების შესაბამისად, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების განზრახული უსაფრთხო ტრანსსასაზღვრო გადაადგილების უზრუნველსაყოფად სათანადო ზომების მიღების პირობით, იმპორტის მხარეს შეუძლია ბიოუსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის სამუდამო მექანიზმთან წინასწარ შეათანხმოს:

ა) შემთხვევები, როცა ტრანსსასაზღვრო გადაადგილება ამ ქვეყანაში მოხდება ამ გადაადგილების შესახებ იმპორტის მხარის შეტყობინების თანადროულად; და

ბ) იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი, რომლებიც არ ექვემდებარება წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების მოქმედების პროცედურას.

ა) ქვეპუნქტში ხსენებული შეტყობინება, შეიძლება გამოყენებული იქნეს ამავე მხარეში შემდგომი ანალოგიური გადაადგილების შემთხვევაში.

2. 1 ა) პუნქტში ხსენებულ შეტყობინებაში განზრახული ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს I დანართში მითითებულ ინფორმაციას.

მუხლი 14

ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი შეთანხმებები და ხელშეკრულებანი

1. ამ ოქმის მიზნების შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ დადონ ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი შეთანხმებები და ხელშეკრულებები ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების განზრახული ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შესახებ იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებები და ხელშეკრულებები არ განაპირობებენ დაცვის უფრო დაბალ დონეს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ოქმით.
2. მხარეები აცნობებენ ერთმანეთსა და ბიოუსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუამავლო მექანიზმს მათ მიერ დადებული ნებისმიერი ასეთი ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების თაობაზე, ამ ოქმის ძალაში შესვლამდე და შემდეგ.
3. ამ ოქმის დებულებები არ ეხება იმ განზრახულ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებებს, რომლებიც ხორციელდება ამგვარი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების მიხედვით ამ შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების მხარეთა შორის.
4. ნებისმიერ მხარეს შეუძლია დაადგინოს, რომ მისი შიდა მარეგულირებელი მექანიზმები გამოიყენება ამ ქვეყანაში კონკრეტული იმპორტის მიმართ და აცნობოს ამ გადაწყვეტილების შესახებ ბიოუსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუამავლო მექანიზმს.

მუხლი 15

საფრთხის შეფასება

1. ამ ოქმის შესაბამისად საფრთხის შეფასება ხორციელდება მეცნიერული დასაბუთებით, III დანართის შესაბამისად, და საფრთხის შეფასების აღიარებული მეთოდებით. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შესაძლო მავნე ზეგავლენის განსაზღვრისა და შეფასების მიზნით. საფრთხის შეფასება მინიმუმ ეფუძნება მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციას და სხვა არსებულ მეცნიერულ მონაცემებს.
2. იმპორტის მხარე უზრუნველყოფს, რომ საფრთხე შეფასდეს მე-10 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებისათვის. მას შეუძლია საფრთხის შეფასება მოსთხოვოს ექსპორტიორს.
3. იმპორტის მხარის მოთხოვნის შემთხვევაში საფრთხის შეფასებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება შემტყობინებელს.

მუხლი 16

საფრთხის რეგულირება

1. ითვალისწინებენ რა კონვენციის მე-8 მუხლის გ) პუნქტს, მხარეები შეიმუშავებენ ამ ოქმით განსაზღვრული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებასთან, მოპყრობასთან და ტრანსსასაზღვრო გადაადგილებასთან დაკავშირებული საფრთხის რეგულირების, შემცირებისა და კონტროლის შესაბამის მექანიზმებს, ზომებსა და სტრატეგიას და მხარს უჭერენ მათ.

2. საფრთხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, იმპორტის მხარის ტერიტორიის ფარგლებში მიღებული იქნება ის ზომები, რომლებიც აუცილებელია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების მავნე ზეგავლენის აღკვეთის მიზნით.

3. ყოველი მხარე იღებს შესაბამის ზომებს, რათა არ იქნეს დაშვებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გაუთვალისწინებელი ტრანსსასაზღვრო გადაადგილება, მათ შორის ისეთ ზომებს, როგორცაა საფრთხის შეფასების მოთხოვნა ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების პირველ გამოთავისუფლებამდე.

4. მე-2 პუნქტის დაურღვევლად, ყოველი მხარე ცდილობს უზრუნველყოს, რომ სავარაუდო გამოყენების დაწყებამდე, როგორც იმპორტირებულ, ისე ამ ქვეყანაში შექმნილ ცოცხალ ორგანიზმზე, მოხდეს დაკვირვება სათანადო პერიოდის განმავლობაში, რომელიც მის სასიცოცხლო ციკლს ან გამრავლების პერიოდს შეესაბამება.

5. მხარეები თანამშრომლობენ შემდეგი მიზნით:

ა) გამოავლინონ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმები ან მათი ის კონკრეტული თვისებები, რომლებსაც შეუძლიათ მავნე ზეგავლენა მოახდინონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე, ადამიანის ჯანმრთელობაზე; და

ბ) მიიღონ შესაბამისი ზომები ასეთი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ან კონკრეტული თვისებების მიმართ.

მუხლი 17

გაუთვალისწინებელი ტრანსსასაზღვრო გადაადგილება და განსაკუთრებული ზომები

1. ყოველი მხარე იღებს შესაბამის ზომებს, რათა მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მომხდარი, მისთვის ცნობილი შემთხვევის შესახებ, რომლის შედეგადაც მოხდა გამოთავისუფლება, რაც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის გაუთვალისწინებელი ტრანსსასაზღვრო გადაადგილება, რამაც შეიძლება მეტად მავნე ზეგავლენა მოახდინოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე ან საფრთხე შეუქმნას ადამიანთა ჯანმრთელობას, აცნობოს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ეს შეეხებათ ან პოტენციურად შეიძლება შეეხოს,

აგრეთვე, ბიოუსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუაშაშლო მექანიზმს და შესაბამის შემთხვევაში, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებს.

შეტყობინება იგზავნება დაუყოვნებლივ, როგორც კი მხარისათვის ცნობილი ხდება ზემოთ ხსენებული სიტუაციის შექმნის შესახებ.

2. ყოველი მხარე არა უგვიანეს ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღისა, ბიოუსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუაშაშლო მექანიზმს აცნობებს შესაბამის დატალურ ინფორმაციას ამ მუხლის შესაბამისად შეტყობინების მიღების მიზნით საკონტაქტო უწყების დანიშვნის შესახებ.

3. 1 პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა მოიცავდეს:

ა) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის სავარაუდო რაოდენობას და შესაბამის მახასიათებლებზე და/ან თვისებებზე არსებულ შესაბამის ინფორმაციას.

ბ) ინფორმაციას გამოთავისუფლების გარემოებებისა და სავარაუდო თარიღის, აგრეთვე, წარმოშობის მხარეში ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის შესახებ.

გ) ნებისმიერ არსებულ ინფორმაციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე, ადამიანთა ჯანმრთელობაზე, შესაძლო მავნე ზეგავლენის შესახებ, აგრეთვე, არსებულ ინფორმაციას საფრთხის რეგულირების შესაძლებელი ზომების შესახებ.

დ) ნებისმიერ სხვა შესაბამის ინფორმაციას ; და

ვ) საკონტაქტო უწყებას დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

4. ყოველი მხარე, რომლის იურისდიქციას ექვემდებარება ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის 1 პუნქტში აღნიშნული გამოთავისუფლების წყარო, დაუყოვნებლივ ატარებს კონსულტაციებს იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც გამოთავისუფლება შეეხებათ ან შესაძლოა შეეხოთ, რათა მათ შეძლონ შესაბამისი საპასუხო ქმედებების განსაზღვრა და მიიღონ აუცილებელი ზომები, მათ შორის განსაკუთრებული ზომები, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე ადამიანთა ჯანმრთელობაზე ნებისმიერი მეტად მავნე ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

მუხლი 18

მოპყრობა, ტრანსპორტირება, შეფუთვა და იდენტიფიკაცია

1. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მავნე ზეგავლენის აღკვეთის მიზნით, ყოველი მხარე იღებს აუცილებელ ზომებს, რომელთა შესაბამისად საჭიროა, რომ ნებისმიერი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის, რომელიც არის ამ ოქმის მოქმედების სფეროში შეთანხმებული ტრანსსასაზღვრო ობიექტი, მოპყრობა, შეფუთვა და ტრანსპორტირება მოხდეს უსაფრთხოების პირობების დაცვით, შესაბამისი საერთაშორისო წესებისა და ნორმების გათვალისწინებით.

2. ყოველი მხარე იღებს ზომებს, რომელთა შესაბამისად საჭიროა, რომ დოკუმენტაციაში, რომელიც თან ახლავს:

ა) ...უშუალოდ სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელ ან გადასამუშავებელ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს, მკაფიოდ იყოს აღნიშნული, რომ ისინი „შეიძლება შეიცავდნენ“ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს და არ არის განკუთვნილი გარემოში წინასწარ განზრახული ინტროდუქციისათვის, ასევე მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო უწყება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. მხარეთ კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, ამ მიზნით იღებს გადაწყვეტილებას სრული მოთხოვნების შესახებ, მათ შორის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ნებისმიერი განსაკუთრებულ თვისებათა შესახებ, არა უგვიანეს 2 წლისა ოქმის ძალაში შესვლის თარიღიდან.

ბ) ...ჩაკეტილ სისტემებში გამოსაყენებლად განკუთვნილ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს, მკაფიოდ განისაზღვრონ ისინი, როგორც ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმები, მითითებული იყოს ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც შეეხება უსაფრთხო მოპყრობას, შენახვას, ტრანსპორტირებასა და გამოყენებას, საკონტაქტო უწყება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის იმ პირის სახელი და მისამართი და დაწესებულების დასახელება, რომელსაც უგზავნიან ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი; და

გ) გარემოში შეთანხმებული ინტროდუქციისათვის განკუთვნილ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს და ამ ოქმის მოქმედების სფეროს დაქვემდებარებულ ნებისმიერ სხვა ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს, მკაფიოდ განსაზღვრონ ისინი, როგორც ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმები, მითითებული იყოს საიდენტიფიკაციო მონაცემები და შესაბამისი თვისებები და/ან მახასიათებლები, ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც შეეხება უსაფრთხო მოპყრობას, შენახვას, ტრანსპორტირებას და გამოყენებას, საკონტაქტო უწყება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და შესაბამის შემთხვევაში, იმპორტიორისა და ექსპორტიორის სახელი/დასახელება და მისამართი და თან ახლდეს დეკლარაცია იმის შესახებ, რომ გადაადგილება ხორციელდება ამ ოქმის მოთხოვნების შესაბამისად, რისთვისაც პასუხისმგებელია იმპორტიორი.

3. მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციებით განიხილავს იმ ნორმების შემუშავების აუცილებლობასა და პირობებს, რომლებიც შეეხება იდენტიფიკაციას, მოპყრობას, შეფუთვასა და ტრანსპორტირების მეთოდებს.

მუხლი 19

კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფო საკოორდინაციო ცენტრები

1. ყოველი მხარე ნიშნავს ერთ სახელმწიფო საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც პასუხისმგებელია სამდივნოსთან კავშირისათვის. ყოველი მხარე, აგრეთვე, ნიშნავს ერთ ან რამდენიმე კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს, რომლებიც ასრულებენ ამ ოქმის მოთხოვნების მიხედვით ადმინისტრაციულ ფუნქციებს და რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ მხარის სახელით ამ ფუნქციებთან მიმართებაში.

მხარემ შეიძლება დანიშნოს ერთი ორგანო, როგორც საკოორდინატო ცენტრის, ისე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ფუნქციის შესასრულებლად.

2. ყოველი მხარე არა უგვიანეს ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღისა, აცნობებს სამდივნოს მისი საკოორდინაციო ცენტრისა და კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების დასახელებებსა და მისამართებს. თუ მხარე ნიშნავს ერთზე მეტ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს, იგი თავის შეტყობინებასთან ერთად სამდივნოს უგზავნის სათანადო ინფორმაციას მათი შესაბამისი მოვალეობების შესახებ. იქ, სადაც ეს მისაღებია, ეს ინფორმაცია, მინიმუმ მიუთითებს, რომელი კომპეტენტური ორგანო არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმზე. ყოველი მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს სამდივნოს მისი სახელმწიფო საკოორდინაციო ცენტრის დანიშვნაში ან მისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ან ორგანოების დასახელებაში, მისამართებსა და მოვალეობებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

3. სამდივნო დაუყოვნებლივ აცნობებს მხარეებს მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული შეტყობინების შესახებ და ამ ინფორმაციას, აგრეთვე, წარადგენს ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატის საშუალებით.

მუხლი 20

ინფორმაციის გაცვლა და ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატა

1. ამ მუხლით იქმნება ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატა, როგორც ნაწილი კონვენციის მე-18.3 მუხლის შესაბამისად შექმნილი ანგარიშსწორების პალატისა, შემდეგი მიზნებით:

ა) ხელი შეუწყოს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ მეცნიერული, ტექნიკური, გარემოსდაცვითი და იურიდიული ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას; და

ბ) დაეხმაროს მხარეებს ოქმის განხორციელებაში, ამასთანავე გაითვალისწინოს ოქმის მხარე განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მოთხოვნები, კერძოდ, ყველაზე ნაკლებად განვითარებული და მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა, აგრეთვე, იმ ქვეყნებისა, რომლებიც არიან წარმოშობისა და გენეტიკური მრავალფეროვნების ცენტრები.

2. ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატა არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ვრცელდება ინფორმაცია 1 პუნქტის მიზნებისათვის. იგი უზრუნველყოფს ამ ოქმის შესრულების მიზნით მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. იგი, აგრეთვე, უზრუნველყოფს, სადაც ეს შესაძლებელია, ბიოუსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის გაცვლის სხვა საერთაშორისო მექანიზმების ხელმისაწვდომობას.

3. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შეულახავად, ყოველი მხარე ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატას წარუდგენს ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის წარდგენაც სავალდებულოა ამ ოქმის შესაბამისად, აგრეთვე:

ა) ოქმის განსახორციელებლად აუცილებელ ნებისმიერ არსებულ კანონებს, ნორმატიულ აქტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე, მხარეთათვის აუცილებელ ინფორმაციას წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების პროცედურების გამოსაყენებლად.

ბ) ნებისმიერ ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს;

გ) მის მიერ განხორციელებული მოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან მოსალოდნელი საფრთხის შეფასების შედეგისა და ეკოლოგიური მოკვლევების რეზიუმებს, რომლებიც ტარდება მისი მარეგულირებელი პროცესის მიხედვით და ხორციელდება მე-15 მუხლის შესაბამისად, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას მათ შემცველ პროდუქტებზე, სახელდობრ, გადამუშავებულ მასალებზე, რომლებიც მიღებულია ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან და შეიცავენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენების შესაბამისად მიღებულ, აღწარმოებადი გენეტიკური მასალის ახალ კომბინაციას, რომლის გამოვლენაც შესაძლებელია.

დ) მის საბოლოო გადაწყვეტილებას ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტის ან გამოთავისუფლების შესახებ.

ე) 33-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშებს, მათ შორის ანგარიშებს წინასწარი დასაბუთებული შეთანხმების პროცედურის განხორციელების შესახებ.

4. ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატის ფუნქციონირების პირობები, მათ შორის მისი მოქმედების შესახებ ანგარიშების წარდგენა განიხილება და მიიღება მხართა კონფერენციის, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომის მიერ მის პირველ სხდომაზე და შემდგომ პერიოდულად გადასინჯება.

მუხლი 21

კონფიდენციალური ინფორმაცია

1. იმპორტის მხარე შემტყობინებელს ნებას რთავს მიუთითოს, ამ ოქმის პროცედურების შესაბამისად წარმოდგენილი ან ამ ოქმის მიხედვით წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურების ფარგლებში იმპორტის მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციიდან, რომელიც მიჩნეულ უნდა იყოს კონფიდენციალურ ინფორმაციად. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთება.

2. იმპორტის მხარე ატარებს კონსულტაციებს შემტყობინებელთან იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაწყვეტს, რომ შემტყობინებლის მიერ მითითებული ინფორმაცია, არ შეიძლება ჩაითვალოს კონფიდენციალურად და ნებისმიერ გამჟღავნებამდე აცნობებს შემტყობინებელს შესაბამის მიზეზებს, უზრუნველყოფს კონსულტაციების ჩატარების შესაძლებლობებს და გადაწყვეტილების ქვეყნის შიდა გადასინჯვას გამჟღავნებამდე.

3. ყოველი მხარე უზრუნველყოფს ამ ოქმის ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, მათ შორის ნებისმიერი

კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომელსაც იღებს ოქმით გათვალისწინებული, წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურების კონტექსტით.

ყოველი მხარე უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის დაცვის პროცედურების არსებობას და იცავს ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალობას არანაკლებ საიმედოდ, ვიდრე ეს გათვალისწინებულია იმ კონფიდენციალური ინფორმაციისათვის, რომელიც შეეხება საკუთარ ქვეყანაში წარმოებულ ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებს.

4. იმპორტის მხარე ამგვარ ინფორმაციას არ იყენებს კომერციული მიზნებისათვის, შემტყობინებლის წერილობითი თანხმობის გარეშე.

5. თუ შემტყობინებელი იბრუნებს ან დაიბრუნა შეტყობინება, იმპორტის მხარე იცავს კომერციული ან სამრეწველო ინფორმაციის კონფიდენციალობას, მათ შორის ინფორმაციას კვლევისა და ტექნოლოგიების შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას, რომლის კონფიდენციალობის შესახებ ამ მხარესა და შემტყობინებელს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

6. მე-5 პუნქტის შეუღალხავად კონფიდენციალურს არ მიეკუთვნება შემდეგი ინფორმაცია:

ა) შემტყობინებლის სახელი/დასახელება და მისამართი;

ბ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ან ორგანიზმების ზოგადი აღწერა;

გ) ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, მავნე ზეგავლენის საფრთხის შეფასების რეზიუმე; და

დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში ღონისძიებათა გატარების ნებისმიერი მეთოდები და გეგმები.

მუხლი 22

პოტენციალის ზრდა

1. მხარეებში თანამშრომლობენ ბიოუსაფრთხოების სფეროში, მათ შორის ბიოტექნოლოგიების სფეროში, რამდენადაც ეს აუცილებელია ბიოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ადამიანთა რესურსებისა და ორგანიზაციული პოტენციალის განვითარებისა და/ან განმტკიცებისათვის, ამ ოქმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით იმ მხარეებში, რომლებიც არიან განვითარებადი ქვეყნები, კერძოდ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის მცირე კუნძულოვან განვითარებად სახელმწიფოებში და იმ მხარეებში, რომლებიც არიან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, არსებული გლობალური, რეგიონული, სუბრეგიონული და სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საშუალებით და, საჭიროების შემთხვევაში, კერძო სექტორის ჩართვის ხელშემწყობით.

2. თანამშრომლობის შესახებ 1 პუნქტის განხორციელების მიზნით, ბიოუსაფრთხოების სფეროში პოტენციალის ზრდისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ მხარეთა მოთხოვნილება ფინანსურ რესურსებზე, კონვენციის შესაბამისი დებულებების თანახმად ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს

ხელმისაწვდომობასა და გადაცემაზე, რომლებიც არიან განვითარებადი ქვეყნები, კერძოდ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოები. სხვადასხვა პირობების, შესაძლებლობებისა და ყოველი მხარის საჭიროების მიხედვით თანამშრომლობა პოტენციალის ზრდისათვის მოიცავს სამეცნიერო და ტექნიკური კადრების მომზადებას ბიოტექნოლოგიის საიმედო და უსაფრთხო გამოყენების, ბიოუსაფრთხოების მიზნით რისკის შეფასებისა და რეგულირების საკითხებში, აგრეთვე, ბიოუსაფრთხოების სფეროში ტექნოლოგიური და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაფართოებას. ბიოუსაფრთხოების სფეროში ასეთი პოტენციალის ზრდისას სრულად იქნება გათვალისწინებული იმ მხარეთა საჭიროებანი, რომლებიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებად ითვლებიან.

მუხლი 23

საზოგადოების ინფორმირება და მისი მონაწილეობა

1. მხარეები:

ა) ხელს უწყობენ საზოგადოების ინფორმირებასა და განათლებას და მის მონაწილეობას ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გადაცემას, მოპყრობის და გამოყენების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების მიზნით, აგრეთვე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით. ამისათვის მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში თანამშრომლობენ სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანოებთან.

ბ) იღებენ ზომებს, რათა საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების საქმიანობა მოიცავდეს იმ იდენტიფიცირებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომლებიც შეიძლება იმპორტირებულნი იყოს ამ ოქმის შესაბამისად.

2. მხარეები, შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ატარებენ კონსულტაციებს საზოგადოებასთან და წარუდგენენ მათ ასეთი გადაწყვეტილებების შედეგებს, უზრუნველყოფენ რა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას 21-ე მუხლის შესაბამისად.

3. ყოველი მხარე იღებს ზომებს, რათა თავის საზოგადოებას აცნობოს, თუ როგორ დაუკავშირდნენ ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატას.

მუხლი 24

სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან მხარეები

1. ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება მხარეებსა და იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც არ არიან მხარეები, უნდა მოხდეს ამ ოქმის მიზნების შესაბამისად. მხარეებმა შეიძლება დადონ ასეთი ტრანსსასაზღვრო

გადაადგილების შესახებ ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი შეთანხმებები და ხელშეკრულებები იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ არიან მხარეები.

2. მხარეები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან მხარეები, შეუერთდნენ ამ ოქმს და ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატას წარუდგინონ შესაბამისი ინფორმაცია ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმებზე, რომლებიც გამოათავისუფლეს, შეიტანეს ან გამოიტანეს მათ სახელმწიფო იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე.

მუხლი 25

უკანონო ტრანსსასაზღვრო გადაადგილება

1. ყოველი მხარე იღებს შესაბამის ზომებს, რათა არ დაუშვას და შესაბამის შემთხვევაში გამოიყენოს სასჯელი, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ისეთი ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისათვის, რომელიც ხორციელდება, მისი იმ შიდა ზომების დარღვევით, რომლებიც მიღებულია ამ ოქმის განსახორციელებლად. მსგავსი გადაადგილება მიიჩნევა უკანონოდ.

2. უკანონო ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შემთხვევაში დაზარალებულმა მხარემ წარმოშობის მხარეს შეუძლია მოსთხოვოს, რომ მან გარემოების შესაბამისად თავისი ხარჯით ამოიღოს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი რეპატრიაციის ან განადგურების გზით.

3. ყოველი მხარე ბიოუსაფრთხოების ანგარიშსწორების პალატას წარუდგენს ინფორმაციას იმ არალეგარული ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შესახებ, რომელიც მას შეეხო.

მუხლი 26

სოციალურ-ეკონომიკური მოსაზრებანი

1. ამ ოქმის ფარგლებში იმპორტის შესახებ გადაწყვეტილების ან ოქმის განსახორციელებლად ზომების მიღებისას, მხარეებმა თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, შეიძლება გაითვალისწინონ სოციალურ-ეკონომიკური მოსაზრებანი, განპირობებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების მავნე ზეგავლენით ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, უწინარესად, მკვიდრი და ადგილობრივი თემებისათვის ფასეული ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებაზე.

2. მხარეებს მოუწოდებენ, რათა ითანამშრომლონ სამეცნიერო კვლევასა და იმ ინფორმაციის გაცვლაში, რომელიც ეხება ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას, გავლენის თაობაზე, განსაკუთრებით მკვიდრ და ადგილობრივ თემებზე.

მუხლი 27

პასუხისმგებლობა და ანაზღაურება

მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, პირველ სხდომაზე იწყებს შესაბამისი საერთაშორისო წესებისა და პროცედურების შემუშავების პროცესს პასუხისმგებლობისა და იმ ზარალის ანაზღაურების სფეროში, რომელიც გამოწვეულია ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შედეგად, ამ საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო კანონში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და სათანადო გათვალისწინების საფუძველზე და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს პროცესი დასრულდეს 4 წლის განმავლობაში.

მუხლი 28

დაფინანსების მექანიზმი და ფინანსური რესურსები

1. ამ ოქმის განხორციელების ფინანსური რესურსების შესახებ საკითხის განხილვისას მხარეები ითვალისწინებენ კონვენციის მე-20 მუხლის დებულებებს.
2. კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი დაფინანსების მექანიზმი, მისი მმართველი ორგანიზაციული სტრუქტურის საშუალებით, წარმოადგენს დაფინანსების მექანიზმს ამ ოქმისათვის.
3. პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებით, რასაც ითვალისწინებს ამ ოქმის 22-ე მუხლი, მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, მხარეთა კონფერენციაზე განსახილველად მე-2 პუნქტში ნახსენებ დაფინანსების მექანიზმთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებისას, ითვალისწინებს განვითარებადი ქვეყნების, კერძოდ, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა და მცირე კუნძულოვან განვითარებად სახელმწიფოთა მოთხოვნილებებს ფინანსურ რესურსებზე.
4. 1 პუნქტის კონტექსტით მხარეები, აგრეთვე, ითვალისწინებენ იმ მხარეთა საჭიროებებს, რომლებიც არიან განვითარებადი ქვეყნები, კერძოდ, ნაკლებად განვითარებული და მათ შორის, მცირე კუნძულოვან განვითარებად სახელმწიფოთა და იმ მხარეთა, რომლებიც არიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, მათ მიერ ამ ოქმის განხორციელების მიზნით პოტენციალის ზრდისათვის მოთხოვნების განსაზღვრისა და რეალიზაციისათვის გაწეული ძალისხმევის ფარგლებში.
5. სახელმძღვანელო მითითებანი, რომლებიც წარედგინება კონვენციის დაფინანსების მექანიზმს მხარეთა კონფერენციის შესაბამის გადაწყვეტილებებში, მათ შორის ისინიც, რომლებიც ფორმულირებულია ამ ოქმის მიღებამდე, გამოიყენება სათანადო ცვლილებებით (*mutatis mutandis*) ამ მუხლის დებულებებისადმი.
6. მხარეებს, რომლებიც არიან განვითარებული ქვეყნები, ასევე, შეუძლიათ უზრუნველყონ, ხოლო მხარეებს, რომლებიც არიან განვითარებადი ქვეყნები და მხარეებს, რომლებიც არიან ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკით, შეუძლიათ ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი არხებით მიიღონ ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსები ამ ოქმის დებულებათა განსახორციელებლად.

მუხლი 29

მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა

1. მხარეთა კონფერენცია ასრულებს ამ ოქმის მხარეთა სხდომის როლს.
2. კონვენციის მხარეებს, რომლებიც არ არიან ამ ოქმის მხარეები, შეუძლიათ დამკვირვებლად მიიღონ მონაწილეობა მხარეთა ნებისმიერი კონფერენციის მუშაობაში, რომელიც წარმოადგენს ამ ოქმის მხარეთა სხდომას. იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა კონფერენცია წარმოადგენს ამ ოქმის მხარეთა სხდომას, ამ ოქმის ფარგლებში გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ მონაწილეთა მიერ, რომლებიც არიან ოქმის მხარეები.
3. როცა მხარეთა კონფერენცია წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეთა სხდომას, მხარეთა კონფერენციის ბიუროს ნებისმიერი წევრი, რომელიც წარმოადგენს კონვენციის იმ მხარეს, რომელიც არ არის ამ ოქმის მხარე, იცვლება იმ წევრით, რომელსაც აირჩევენ ამ ოქმის მხარეები თავიანთი წევრებიდან.
4. მხარეთა კონფერენცია, რომელიც წარმოადგენს ამ ოქმის მხარეთა სხდომას, რეგულარულად ადევნებს თვალყურს ამ ოქმის განხორციელებას და თავისი მანდატის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებელია ოქმის ეფექტიანი განხორციელების ხელშესაწყობად. იგი ასრულებს ამ ოქმით დაკისრებულ ფუნქციებს და:
 - ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ნებისმიერ საკითხზე, რომელიც აუცილებელია ამ ოქმის განსახორციელებლად;
 - ბ) ქმნის ისეთ დამხმარე ორგანოებს, რომლებიც საჭიროა ამ ოქმის დებულებათა შესასრულებლად;
 - გ) აუცილებლობის შემთხვევაში, ითხოვს და იყენებს კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანოების მომსახურებას, ხელშეწყობას და ინფორმაციას;
 - დ) საზღვრავს იმ ინფორმაციის მიწოდების ფორმასა და პერიოდულობას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ ოქმის 33–ე მუხლის შესაბამისად, და განიხილავს ასეთ ინფორმაციას, აგრეთვე, ნებისმიერი დამხმარე ორგანოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს.
 - ე) აუცილებლობის შემთხვევაში, განიხილავს და იღებს ამ ოქმისა და მისი დანართების შესწორებებს, აგრეთვე, ამ ოქმის ნებისმიერ დამატებით დანართს, რომელიც აუცილებელია ამ ოქმის განსახორციელებლად.
 - ვ) ასრულებს სხვა ფუნქციებსაც, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ამ ოქმის განსახორციელებლად.
5. ამ ოქმის ფარგლებში *mutatis mutandis* გამოიყენება მხარეთა კონფერენციის პროცედურების წესები, აგრეთვე, კონვენციის დაფინანსების წესები, გამონაკლისი დაიშვება თუ მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, კონსესუსით იღებს სხვა გადაწყვეტილებას.
6. მხარეთა კონფერენციის პირველ შეხვედრას, რომელიც წარმოადგენს ამ ოქმის მხარეთა სხდომას, იწვევს სამდივნო მხარეთა პირველივე კონფერენციასთან ერთად, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ.

მხარეთა მორიგი კონფერენციები, რომლებიც წარმოადგენენ ამ ოქმის მხარეთა სხდომას, იმართება მხარეთა მორიგ კონფერენციებთან ერთად, თუ მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, არ იღებს სხვა გადაწყვეტილებას.

7. მხარეთა კონფერენციის რიგგარეშე შეხვედრას, რომელიც წარმოადგენს ამ ოქმის მხარეთა სხდომას, იწვევენ მაშინ, როცა მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, ამის აუცილებლად მიიჩნევს ან/და ნებისმიერი მხარის წერილობითი თხოვნით, იმ პირობით, რომ სამდივნოს მიერ მხარეებისათვის ამ თხოვნის გაგზავნიდან 6 თვის განმავლობაში მას მხარს დაუჭერს მხარეთა არანაკლებ ერთი მესამედი.

8. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალიზებული დაწესებულებები და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო, აგრეთვე, მათი წევრი ნებისმიერი სახელმწიფო, ან მათი დამკვირვებლები, რომლებიც არ არიან კონვენციის მხარეები, შეიძლება წარმოდგენილ იქნენ მხარეთა კონფერენციებზე ამ ოქმის მხარეთა სხდომის დამკვირვებლების სახით.

ამ ოქმის საკითხებში კომპეტენტური ნებისმიერი სახელმწიფო ან საერთაშორისო, სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანოები, რომლებმაც აცნობეს სამდივნოს თავიანთი სურვილი, წარმოდგენილი იქნენ დამკვირვებლად მხარეთა კონფერენციაზე, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომაზე, შეიძლება დაშვებული იქნენ მასში მონაწილეობის მისაღებად, თუ ამის წინააღმდეგი არ არის დამსწრე მხარეთა არანაკლებ ერთი მესამედისა. ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, დამკვირვებელთა დაშვება და მონაწილეობა რეგულირდება მე-5 პუნქტში მოხსენიებული წესებით.

მუხლი 30

დამხმარე ორგანოები

1. კონვენციის მიერ ან მის ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი დამხმარე ორგანო, მხარეთა იმ კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეთა სხდომას, შეუძლია მოემსახუროს ოქმს, ამ შემთხვევაში მხარეთა სხდომა განსაზღვრავს იმ ფუნქციებს, რომლებიც უნდა შეასრულოს ამ ორგანომ.

2. კონვენციის მხარეებს, რომლებიც არ არიან ამ ოქმის მხარეები, შეუძლიათ დამკვირვებლად მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი ასეთი დამხმარე ორგანოს ნებისმიერი სხდომის მუშაობაში. იმ შემთხვევებში, როცა კონვენციის დამხმარე ორგანო წარმოადგენს ამ ოქმის დამხმარე ორგანოს, ოქმის ფარგლებში გადაწყვეტილებებს იღებენ მხოლოდ ოქმის მხარეები.

3. იმ შემთხვევებში, როცა კონვენციის დამხმარე ორგანო ასრულებს თავის ფუნქციებს ოქმის საკითხებთან დაკავშირებით, ასეთი დამხმარე ორგანოს ბიუროს ნებისმიერი წევრი, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მხარეს, მაგრამ არა ამ ოქმის მხარეს, იცვლება იმ წევრით, რომელსაც აირჩევენ ამ ოქმის მხარეები თავიანთი წევრებიდან.

მუხლი 31

სამდივნო

1. ამ ოქმის სამდივნოს წარმოადგენს კონვენციის 24-ე მუხლის შესაბამისად დაფუძნებული სამდივნო.
2. კონვენციის 24.1-ე მუხლი სამდივნოს ფუნქციების შესახებ სათანადო ცვლილებებით (mutatis mutandis) გამოიყენება ამ ოქმისათვის.
3. ამ ოქმისათვის სამდივნოს მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს, რამდენადაც ისინი განსხვავდება სხვა ხარჯებისაგან, ფარავენ ამ ოქმის მხარეები. მხარეთა კონფერენცია, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომა, პირველ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას ამ მიზნებისათვის აუცილებელი შესაბამისი საბიუჯეტო ზომების შესახებ.

მუხლი 32

კავშირი კონვენციასთან

თუ ოქმი არ ითვალისწინებს სხვას, კონვენციის დებულებები მისი ოქმების შესახებ გამოიყენება ამ ოქმის მიმართ.

მუხლი 33

მონიტორინგი და ანგარიშგება

ყოველი მხარე აკონტროლებს ამ ოქმით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და მხარეთა კონფერენციის, როგორც ამ ოქმის მხარეთა სხდომის მიერ დადგენილი პერიოდულობით ანგარიშს ახარებს მხარეთა კონფერენციას, ამ ოქმის მხარეთა სხდომის სახით, იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია ოქმის განსახორციელებლად.

მუხლი 34

თანხმობა

მხარეთა კონფერენცია, ამ ოქმის მხარეთა სხდომის სახით, პირველ სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს თანამშრომლობის პროცედურებსა და ორგანიზაციულ მექანიზმებს ამ ოქმის დებულებებთან შესაბამისობის მისაღწევად და შეუსაბამობის შემთხვევათა აღმოსაფხვრელად. ასეთი პროცედურები და მექანიზმები ითვალისწინებს დებულებებს შესაბამის შემთხვევებში საკონსულტაციო მომსახურებისა და დახმარების გაწევის შესახებ. ისინი გამოიყენება დავის რეგულირების იმ პროცედურებისა და მექანიზმებისაგან დამოუკიდებლად და მათს შეუღახავად, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციის 27-ე მუხლით.

მუხლი 35

შეფასება და გადასინჯვა

მხარეთა კონფერენცია, ამ ოქმის მხარეთა სხდომის სახით, ამ ოქმის ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ და შემდეგ სულ მცირე ყოველ ხუთ წელიწადში აფასებს ოქმის, მისი პროცედურებისა და დანართების ეფექტიანობას.

მუხლი 36 **ხელის მოწერა**

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად სახელმწიფოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განყოფილებაში, ნაირობიში, 200 წლის 15–იდან 26 მაისამდე, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში, ნიუ-იორკში, 2000 წლის 5 ივნისიდან 2001 წლის 4 ივნისამდე.

მუხლი 37 **ძალაში შესვლა**

1. ეს ოქმი ძალაში შედის კონვენციის მხარე სახელმწიფოთა ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციების მიერ მისი რატიფიკაციის, მიღების, მოწონებისა და შეერთების ორმოცდამეათე დოკუმენტის ჩაბარების თარიღიდან ოთხმოცდამეათე დღეს.
2. სახელმწიფოსათვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისათვის, რომლებიც ახდენენ წინამდებარე ოქმის რატიფიკაციას, იღებენ ან იწონებენ ან შეუერთდებიან მას 1 პუნქტის შესაბამისად მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ოქმი ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90–ე დღეს, ან/და იმ დღეს, როცა ასეთი სახელმწიფოს ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისათვის ძალაში შევა კონვენცია, იმის მიხედვით, რომელი თარიღი დადგება უფრო გვიან.
3. 1 და 2 პუნქტების მიზნებისათვის, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ შესანახად ჩაბარებული არც ერთი დოკუმენტი არ ითვლება დამატებად ასეთი ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ ჩაბარებულ დოკუმენტებზე.

მუხლი 38 **პირობის დათქმა**

ამ ოქმის მიმართ არავითარი პირობის დათქმა არ დაიშვება.

მუხლი 39

გამოსვლა

1. ნებისმიერ მხარეს, მისთვის ამ ოქმის ძალაში შესვლისთანავე 2 წლის შემდეგ, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოვიდეს ოქმიდან, გაუგზავნოს რა წერილობით შეტყობინებას დეპოზიტარს.
2. ასეთი გამოსვლა ძალში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, რომელიც შეიძლება მითითებულ იყოს შეტყობინებაში გამოსვლის შესახებ.

მუხლი 40

ავთენტური ტექსტები

ამ ოქმის დედანი, რომლის ტექსტები ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტურია, შესაძლებელია გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელის მომწერებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შედეგნაირად მონრეალში ორი ათასი წლის ოცდაცხრა იანვარს.

დანართი 1

ინფორმაცია შეტყობინებისათვის მე-8, მე-10 და მე-13 მუხლების შესაბამისად

ა) ექსპორტიორის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო მონაცემები.

ბ) იმპორტიორის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო მონაცემები.

გ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის დასახელება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და ექსპორტის ქვეყანაში უსაფრთხოების დონის განსაზღვრა ადგილობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ) ტრანსსასაზღვრო დადადგილების სავარაუდო ვადა ან ვადები, თუ იგი ცნობილია.

ე) ორგანიზმი-რეციპიენტის ან მშობელი ორგანიზმების ტაქსონომიური სტატუსი, საზოგადო დასახელება, შეგროვების ან შექმნის ადგილი, აგრეთვე ის თვისებები, რომლებიც შეეხება ბიოუსაფრთხოებას.

ვ) ორგანიზმი-რეციპიენტის ან მშობელი ორგანიზმების წარმოშობის ან გენეტიკური მრავალფეროვნების ცენტრები, თუ ისინი ცნობილია, და ბუნებრივი გარემოს აღწერა, სადაც ამ ორგანიზმებს ექნებათ გადარჩენის ან სწრაფი გამრავლების შესაძლებლობა.

ზ) დონორი ორგანიზმის ან ორგანიზმების ტაქსონომიური სტატუსი, საზოგადო დასახელება, შეგროვების ან შექმნის ადგილები, აგრეთვე თვისებები, რომლებიც შეეხება ბიოუსაფრთხოებას.

თ) ნუკლეინის მჟავის ან ინტროდუცირებული მოდიფიკაციის, გამოყენებული მეთოდი, აგრეთვე ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის მიერ შეძენილი თვისებების აღწერა.

ი) სავარაუდო გამოყენება ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმისა ან მისი შემცველი პროდუქტებისა ანუ გადამუშავებული მასალებისა, რომლებიც მიღებულია ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმისაგან და შეიცავენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით მიღებულ აღწარმოებადი გენეტიკური მასალის ახალ კომბინაციებს, რომელთა გამოვლენაც შესაძლებელია.

კ) გადაცემისათვის გამიზნული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის რაოდენობა ან მოცულობა.

ლ) III დანართის შესაბამისად ჩატარებული რისკის შეფასების არსებული და წინა ანგარიში.

მ) სავარაუდო მეთოდები უსაფრთხო მოპყრობის, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად, მათ შორის შეფუთვის, მარკირების, დოკუმენტირების, ამოღების და საგანგებო შემთხვევების წარმოქმნის დროს ზომების მიღების პროცედურები, იქ, სადაც ეს აუცილებელია.

ნ) ექსპორტის ქვეყანაში, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის რეგლამენტირების სტატუსი (მაგალითად, აკრძალულია თუ არა იგი ექსპორტის ქვეყანაში, არის თუ არა სხვა შეზღუდვები, ან გაცემულია თუ არა ნებართვა მის საერთო გამოთავისუფლებაზე) და, თუ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმი აკრძალულია ექსპორტის ქვეყანაში, ამ აკრძალვის მიზეზი ან მიზეზები.

ო) ექსპორტიორის მიერ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის გადაცემის შესახებ სხვა ქვეყნებისათვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინების შედეგი და ასეთი შეტყობინების გაგზავნის მიზანი.

პ) განცხადება ზემოთ მოცემული ინფორმაციის ფაქტობრივი უტყუარობის დადასტურების შესახებ.

დანართი II

მუხლი 11–ის შესაბამისად უშუალოდ სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი ან გადასამუშავებლად განსაზღვრული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია

ა) იმ სუბიექტის დასახელება და საკონტაქტო მონაცემები, რომელსაც შეაქვს განცხადება შიდა გამოყენებისათვის.

ბ) გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო მონაცემები.

გ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ე) გენური მოდიფიკაციის, გამოყენებული მეთოდისა და მათს შედეგად ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის მიღებული თვისებების აღწერა.

ვ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ნებისმიერი განსაკუთრებული საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ზ) ორგანიზმი-რეციპიენტისა და მშობელი ორგანიზმების ტაქსონომიური სტატუსი, ზოგადი დასახელება და შეგროვების ან შეძენის ადგილი, აგრეთვე, შეძენილი თვისებები (მახასიათებლები) ბიოუსაფრთხოების თვალსაზრისით.

თ) ორგანიზმი-რეციპიენტის და/ან მშობელი ორგანიზმების წარმოშობისა და გენეტიკური მრავალფეროვნების ცენტრები, თუ ისინი ცნობილია, და ბუნებრივი გარემოს აღწერა, სადაც ამ ორგანიზმებს ექნებათ გადარჩენისა და სწრაფი გამრავლების შესაძლებლობა.

ი) დონორი ორგანიზმის ან ორგანიზმების ტაქსონომიური სტატუსი, საერთო დასახელება, შეგროვების ან შეძენის ადგილი, თვისებები ბიოუსაფრთხოების თვალსაზრისით.

კ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის გამოყენების მიღებული ფორმები.

ლ) საფრთხის შეფასების III დანართის შესაბამისად წარმოდგენილი მოხსენება.

მ) უსაფრთხო მოპყრობის, შენახვის, ტრანსპორტირების და გამოყენების, შესაბამის შემთხვევაში შეფუთვის, მარკირების, დოკუმენტაციის შემოთავაზებული მეთოდები, ამოღებისა და განსაკუთრებული შემთხვევების პროცედურები.

დანართი III

საფრთხის შეფასება

მიზანი

1. ამ ოქმის შესაბამისად საფრთხის შეფასების მიზანია პოტენციურ მიმღებ გარემოში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და გამოყენებაზე, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის გამოვლენა და შეფასება.

საფრთხის შეფასების გამოყენება

2. საფრთხის შეფასების შედეგები გამოიყენება, კერძოდ, კომპეტენტური ორგანოების მიერ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

ძირითადი პრინციპები

3. საფრთხის შეფასება უნდა განხორციელდეს მეცნიერული დასაბუთებით და გამჭირვალედ და ასეთი შეფასებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ექსპერტული რეკომენდაციები და სახელმძღვანელო დებულებები.

4. მეცნიერული ცოდნის ან მეცნიერული კონსენსუსის უკმარისობა, არ შეიძლება აუცილებლად გაგებული იქნეს, როგორც გარკვეული დონის საფრთხის არსებობა, საფრთხის არარსებობა ან საფრთხის დაშვება.

5. საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია ცოცხალ მოდიფიცირებულ ორგანიზმთან ან მისგან წარმოებულ პროდუქტებთან, კერძოდ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმისაგან მიღებულ გადამუშავებულ მასალებთან, რომლებიც შეიცავენ აღწარმოებადი გენეტიკური მასალის ახალ კომბინაციას, რომელიც მიღებულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით, განხილული უნდა იქნეს იმ საფრთხის კონტექსტით, რომელიც გამოწვეულია არამოდიფიცირებული რეციპიენტის ან მშობელი ორგანიზმის მიერ სავარაუდო პოტენციურ მიმღებ გარემოში.

6. საფრთხის შეფასება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურ საფუძველზე. მოთხოვნილი ინფორმაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ხასიათით და დეტალიზაციის დონით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმის, მის სავარაუდო გამოყენების და სავარაუდო პოტენციური მიმღები გარემოს მიხედვით.

მეთოდოლოგია

7. ერთი მხრივ, საფრთხის შესაფასებლად შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაცია კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს და მოთხოვნილ იქნეს შეფასების პროცესის განხორციელებისას, მეორე მხრით – ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაცია სხვა ასპექტებზე შეიძლება არააქტუალური აღმოჩნდეს.

8. მიზნის მისაღწევად საფრთხის შეფასება აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ნებისმიერი ახალი გენოტიპური და ფენოტიპური თვისების გამოვლენას, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს მავნე ზეგავლენა სავარაუდო პოტენციურ მიმღებ გარემოში ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის გათვალისწინებით;

ბ) ასეთი არახელსაყრელი შედეგების ფაქტობრივი წარმოქმნის ალბათობის ხარისხის შეფასებას, სავარაუდო პოტენციურ მიმღებ გარემოზე ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის ზემოქმედების ინტენსივობისა და ხასიათის გათვალისწინებით;

გ) შედეგების შეფასებას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მავნე ზეგავლენა მოხდება;

დ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის მიერ გამოწვეული საერთო საფრთხის შეფასება გამოვლენილი უარყოფითი ზეგავლენის ალბათობისა და შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით;

ე) რეკომენდაციების შემუშავებას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საფრთხე მისაღები ან მართვადი, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია, სტრატეგიის განსაზღვრა ასეთი საფრთხის მართვისათვის;

ვ) იმ შემთხვევაში, როცა საფრთხის დონე დაუდგენელია, საკითხი შეიძლება გადაწყდეს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით კონკრეტულ პრობლემურ საკითხებზე ან მიმღებ გარემოში ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმისაგან

საფრთხის რეგულირების შესაბამისი სტრატეგიის და/ან მონიტორინგის განხორციელებით.

მხედველობაში მისაღები საკითხები

9. საფრთხის შეფასების განხორციელებისას, საჭიროებისამებრ, გათვალისწინებული უნდა იქნეს მახასიათებლების შესაბამისი ტექნიკური და სამეცნიერო მონაცემები შემდეგი ობიექტებისათვის:

ა) ორგანიზმი–რეციპიენტი ან მშობელი ორგანიზმები. ორგანიზმი–რეციპიენტი ან მშობელი ორგანიზმების ბიოლოგიური მახასიათებლები, მათ შორის ინფორმაცია ტაქსონომიურ სტატუსზე, ზოგად დასახელებაზე, წარმოშობაზე, წარმოშობისა და გენეტიკური მრავალფეროვნების ცენტრებზე, თუ ისინი ცნობილია, ბუნებრივი გარემოს აღწერა, რომელშიც ორგანიზმს ექნება გადარჩენისა და სწრაფი გამრავლების პრინციპები.

ბ) დონორი ორგანიზმი ან ორგანიზმები. ტაქსონომიური სტატუსი და ზოგადი დასახელება, წყარო და დონორი ორგანიზმების შესაბამისი ბიოლოგიური მახასიათებლები.

გ) ვექტორი. ვექტორის მახასიათებლები, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, თუ ასეთი არსებობს, მისი წარმოშობის წყარო და მისი მასპინძლების დიაპაზონი.

დ) ჩართვა ან ჩართვები და/ან მოდიფიკაციების დახასიათებები. ინტროდუცირებული ნუკლეინის მჟავის გენეტიკური თვისებების მახასიათებლები და მისი განსაზღვრული ფუნქცია და/ან ინტროდუცირებული მოდიფიკაციის მახასიათებლები.

ე) ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმი. ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის საიდენტიფიკაციო მონაცემები და განსხვავებანი ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმისა და ორგანიზმი–რეციპიენტის ან მშობელი ორგანიზმების ბიოლოგიურ მახასიათებლებს შორის.

ვ) ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის აღმოჩენა და იდენტიფიკაცია. აღმოჩენისა და იდენტიფიკაციების შემოთავაზებული მეთოდები და მათი სიზუსტე, მგრძობელობა და საიმედოობა.

ზ) ინფორმაცია გამოყენების სავარაუდო სახის შესახებ. ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის გამოყენების სავარაუდო სახის შესახებ, მათ შორის ორგანიზმი რეციპიენტთან ან მშობელი ორგანიზმებთან შედარებით გამოყენების ახალი ან შეცვლილი სახე. და

თ) მიმღები გარემო. ინფორმაცია მდებარეობის, გეოგრაფიული, კლიმატური და ეკოლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის შესაბამისი ინფორმაცია უფრო სავარაუდო პოტენციურ მიმღები გარემოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და წარმოშობის ცენტრების შესახებ.